სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურო ქარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის ...3 საათამდე და სოლომონ ბ—ი ...წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

...მოუწერავ წერილებს რედაქცია არ იღებს.

პირ-პირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ღირება 4 მან.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების" გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 9 მაისს, გარდახდილ იქმნება დიდუბის ეკკლესიაში წლის წირვა განსვენებულის

ალექსანდრე როინაშვილის

სულის მოსახსენებლად. (3—1)

სახალხო სეირნობა
საქველ-მოქმედო ნაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების" სასარგებლოდ

დანიშნულია 16-ს და 17-ს მაისს, კვირას და ორშაბათს, მუშტაიდში. (10—5)

!!მიაქციეთ ყურადღება!!

ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

იმყოფება ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიებით

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და სათვალსაჩინო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონიის ნივთებია
საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!! (100—20)

სამკურნალო და ამბულატორია
ვ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვებისა, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიისთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია

*Лѣчебница В. С. Топуріа* въ Кутаисѣ

„შუამავალი"

ამხანაგობის მაღაზია გადავიდა უკვე თამამშევის ქარვასლაში პუშკინის სკვერის წინ. (3—3)

## ახალი ამბავი

*** ქალაქის საქმეები. რაც დღე გადის თან-და თან ქალაქის საქმეებს უფრო ნათელი ეფინება—რევიზიამ მართლა რომ ბევრი უწეს-რიგობა აღმოაჩინა კულტუროსანთა გამგეობაში.

მკითხველებს ეხსომებათ საქმე მეტიევებისა, რომელთაც აგერ 25 წელიწადია უკანონოდ ბაჟს ახდევინებდნენ, და რომელნიც მხოლოდ უმაღლესის მთავრობის სასტიკი განკარგულების შემდეგ-ღა განთავისუფლეს უკანონო ბაჟისაგან

ეხლა როგორც სჩანს ბ-ნი გუბერნატორის მოწერილობიდან ქალაქის გამგეობა სწორედ ამგვარადვე ახდევინებს ბაჟს იმ პირთ, რომელნიც კვირა უქმეობით ბაზარ-ბაზარ ვაჭრობენ ხოლმე ქუჩებსა და მოედნებში.

აგრეთვე ბაჟს ახდევინებენ თურმე, იმ წვრილ საქონელში, რომელსაც სასაკლაოზე არ ხოცვენ, განსაკუთრებით ზედნიერ დღეებში. ყველა ამ კითხვების გამოსარკვევად ბ-ნ გუბერნატორს მოუთხოვნია ქალაქის მოურავისგან პასუხი, ხოლო გამგეობა, როგორც გაზეთებიდანა სჩანს, ამ უკანონო ბაჟებს იმით აკანონებს, რომ წინედაც ასე ყოფილა და არავის ხმა არ ამოუღია, არც საგუბერნიო მართველობას და არც სხვა ვისმეს.

*** ქალაქის აფთეკის უწეს-რიგობა. ჩვენ გვატყობინებენ ქალაქის აფთეკაში, რომელიც ქალაქისავე სამკურნალოსთან იმყოფება, ბევრი უწესრიგობა აღმოუჩენია რევიზიას და ბევრიც კიდევ აღმოჩნდება თუ ვინმე ჯეროვან ყურადღებას მიაქცევსო. სხვა რომ არა იყოს-რა, ისიც კი საკმარისია აფთეკის წეს-რიგის დასახურათხატებლად, რომ წამლებს აფთეკრები კი არა უბრალო ფერშლები ამზადებენ. ვისაც ყურნი აქვთ ისმინონ.

*** მცხეთის ტაძრის განახლების გამო. როგორც ვიწყით, საქართველოს ეგზარხოსმა მისმა მაღალყოვლად უსამღვდელოესობამ, მთავარ ეპისკოპოსმა ფლაბიანემ, სხვათა შორის, ქალაქის მოურავსაც მიჰმართა, გაუგზავნა მოწოდებანი და სთხოვა შეწირულებათა შეკრება მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის განსაახლებლად დანიშნულ თანხის სასარგებლოდ და სამატადტფილისის ქალაქის მოურავმა ბ-ნმა გ. გ. ევანგულოვმა მრავალთ მიჰმართა თავის მხრივ, წარუგზავნა მოწოდებანი და სთხოვა ქველმოქმედთ ამ საქმისთვის დახმარება აღმოეჩინათ. აი რასა სწერს ქალაქის მოურავი მთავის მისამართს წერილში:

„მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა, საქართველოს ეგზარხოსმა, მთავარეპისკოპოსმა ფლაბიანემ ხსტივმ მცა და ამა წლის 19 მარტს მე 1017 №-რით წერილი წარმომიგზავნა, რომლითაც მთხოვს ხელი წარუმართო მცხეთის თორმეტთა მოციქულთა საკრებულო ტაძრის განმახლებელ კომიტეტის მოწოდებათა გავრცელებას.

„ის ეკკლესია, რომლის აღაიოზედაც მე-XV საუკუნიდგან სდგას დიდებული ტაძარი მცხეთისა, აღგებულა მე-IV საუკუნეში, ე. ი იმ დროს, როდესაც პირველად დაიწყეს ჩვენს ქვეყანაში შენება ღვთის ტაძართა, ამა კაეზკასიის ძველთა ერთა ქრისტიანობის ცოცხალის ცოცხალთა სახსოვართა. ამ სახსოვართ დაცვა და შენახვა სა-

ღმრთის მოვალეობას ყოველის ქრისტიანისა სარწმუნოების განურჩევლად. ძველთა დროთაგან კავკასიის ეკლესიათა და მონასტერთათვის ჰზრუნავდნენ ერნი და მეფენი, საუკეთესონი მათგანნი ამ ეკლესიათა და მონასტრებს სწირავდნენ მდიდარ მამულებს და უხრწნელ განძეულობას, რომელთა ნაშთთ ჩვენამდე მოაღწიეს და განცვიფრებაში მოგვიყვართ თავისის სიძვირფასითა და ხელოვნებით. ზოგიერთს მონასტრებს თვალსაჩინო ალაგი ეჭირა ჩვენის ქვეყნის ცხოვრებაში: იგინი იყვნენ გამავრცელებელნი სწავლა-განათლებისა და მეცნიერებისა; იქიდგან გამოდიოდნენ საქართველოს და სომხეთის საერო და სასულიერო მოღვაწენი, მასთა ზღუდეთა შორის, დროსა ამბოხებასას და ადრეულობისასა, ეძიებდნენ მეფენი და დიდებულნი თავშესაფარსა და სულის ცხონებასა *). კავკასიაში ძველთა სიწმიდეთ ერთგვარად თაყვანსსცემენ ყველა ქრისტიანენი, ვითარცა ძმანი ქრისტეს მიერ, მასთა აღთქმათაებრ.

„მგონია რა, რომ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანი, არა დაიზარებთ შეძლებისამებრ მონაწილეობის მიღებასა, რათა განახლებულ იქმნას ეს ძველის-ძველი, ყველა ჩვენთაგან თაყვან-ცემული მცხეთის ტაძარი, რომელიც ქართველ ერის კეთილშობილ სიამაყის საგანს შეადგენს, და თანაგრძნობით მიგებებით მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის მწყემსთ-მთავრულს მოწოდებას მე თავს ნებას ვაძლევ გაცნობოთ ყოვლივე ესე ზემო-თქმული; თანა უმორჩილესად გთხოვთ თქვენი წვლილი მე წარმომიგზავნოთ და მე წარვუდგენ მას თქვენის სახელით მთავარ-ეპისკოპოსს ფლაბიანეს, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესს თავმჯდომარეს მცხეთის თორმეტთა მოციქულთა საკრებულო ტაძრის განმახლებელ კომიტეტისას“.

„(ივ)“

*** თავისუფალი სტიპენდია. ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ჟამად თავისუფალია ერთი სტიპენდია გრაფის ლორის-მელიქოვის სახელობისა. ამ სტიპენდიით, დებულების თანახმად, შეუძლიან ისარგებლოს იმ ხელ-მოკლე სტუდენტმა, რომელსაც კარგადა აქვს დამთავრებული ტფილისის ერთ-ერთი გიმნაზია და რომელიც ტფილისის მკვიდრია. განცხადება საბუთის ქაღალდებით ამ სტიპენდიის დანიშვნის შესახებ მიიღება ამა 1899 წლის I აგვისტომდე.

*** კავკასიის საქალაქო უწყების ახალი გამგებელი, დანიშნული ბ-ნი გლავაცკის მაგივრად—ბ-ნი სმირნოვი უკვე ჩამოსულა და თავის თანამდებობის აღსრულებაში შესულა.

*** გადამდები სენი ტფილისში. მარტო ერთის კვირის განმავლობაში, ტფილისში ავად გამხდარა: ყვავილით—2 კაცი, ქუნთრუშით 3, წითელათ –15, ხუნაგით—6, სახადით—36.

*** საოლქო სასამართლოს განყოფილება დუშეთში უკვე გამგზავრებულა ამ თვის 4-სა. თავმჯდომარედ არის ბ-ნი პარჩევსკი, წევრი ბ-ნი პადალკო და ბრალმდებელი ბ-ნი ტარსაიძე. განყოფილება დაჰყოფს დუშეთს 10 მაისამდე, გასარჩევად დანიშნულია 15 სისხლის საქმე და სააპელაციო.

*** შიო მღვიმის მონასტერი და მისი დღეობა. სადგურ მცხეთიდგან დასავლეთის მხრით მტკვრის მარცხნით ვერსის მანძილზე გაშენებულია დიდებული მონასტერი ღირსი შიოსი. ღირსი შიო ერთი ათ თორმეტთაგანი იყო, მოწაფე ღირსისა მამისა იოანე ზედაძნელისა. ეს ღირსნი მამანი როგორც მოწმობს ისტორია ასურეთიდგან გამოუბრწყინდენ საქართველოს ქრისტიანობის დასანერგავად 550 წლებში. შემდეგ მრავალი შრომისა და სასწაულების ჰქმნისა მცხეთასა შინა, ღირსმა მამა იოანემ ღვთის განგებით საცხოვრებლად ზედაზადენის მთა აირჩია, სადაც პირველად საკერპო იყო და ბომონი ზედაზღენ კერპის სახელზე. ცეცხლის მსახურთა მიერ გაკეთებული. ქართლის მეფემა ფარნაოზმა აღმართა იმ ადგილას კერპი 109 წლის წინედ ქრისტეს შობისა, ამ დროს საქართველო ცეცხლს სცემდა თაყვანს. შემდეგ წმიდა ნინოს მოსვლისა, ნინომ დაამხო ეს კერპი და აღმართა პატარა ეკკლესია ჯვარითურთ და როდესაც ღირსი მამა იოანე ავიდა ამა მაღალ მთაზე ეს პატარა ეკკლესია განაახლა და იქვე აღაშენა მცირე სენაკნი მისდა და თავის მოწაფეების საცხოვრებლად, როგორც მოწმობს ისტორია. ამ ადგილას იცხოვრა შიომ ოთხი წელიწადი განუშორებლად იოანესთან შემდეგ როგორც სხვა მოწაფეებმა, ისე იმანაც სთხოვა მოძღვარს იოანეს, რომ მისთვისაც მიეცა ნება და ეცხოვრა მარტოებით და განშორდა კიდეც ლოცვა კურთხევით. დაბინავდა ზემოხსენებულ ალაგას. იქ მოღვაწეობდა ასე რომ ათი წელი მგლის მსახურებამდე. შემდეგ ამ დროის ღვთის მადლით დაემორჩილა მას თავის უბიწო ცხოვრებით მგელი და ისიც მსახურებდა წმიდა შიოს მონასტერს ექვსი წელიწადი ასეთი დიდი მოწიწებით როგორც მონა ბატონს. შემდეგ ექვსი წლისა განათავისუფლა ღირსმა შიომ მგელი სამსახურისაგან თავის ნებით და შემდეგ ჩავიდა ღირსი მამა მღვიმეში. შემდეგ ხანგრძლივის მოღვაწეობისა შიგვე აღსრულდა ღვთის მადლით გაბრწყინვებული თავის უბიწო ცხოვრებით და შემდეგაც მიცვალებისა მრავალი სასწაულით გაამშვენა საქართველოს ეკკლესიანი. ურიცხვნი არიან სასწაული მის მიერ.

ამ წმინდა ღირსი მამის დღეობა წელიწადში ორჯერ არის. პირველი ნაწილთ აღმოყვანება ყოველ დროს რაც თვე იყოს ყველიერის ხუთშაბათს არის და მეორეც მიცვალება ღირსის მამისა შიოსი ცხრა მაისს. ამ მონასტერში, ამ დღეობაში მეტი წილი მლოცავები ყველიერში მოდიან მიცვალების დღეს ცხრა მაისს უფრო ნაკლები ხალხია. ამ წელსაც ყოვლად სამღვდელო ლეონიდი მიბრძანდება მწირველად, თუ დრომ ნება მისცა.

ეს მონასტერი გაშენებულია მაღალ ადგილზე და შემოზღუდულია სამის მხრით მაღალის კლდით. ამ მონასტერში სამი ეკკლესია არის აგებული. პირველი იოანე ნათლის მცემლის დაბადების სახელზედ. ამ ეკკლესიაში არის მღვიმე, რომელშიაც წმიდა შიოს საფლავია გამშვენიერებული მეფე ვახტანგ VI ის მიერ. მეორე ეკკლესია აგებულია მიძინების სახელზედ, მესამე სულ პატარა ეკკლესია არის შიოს სახელზედ. ის აგებულია იმ ალაგას, სადაც ულვაწნია წმიდა შიოს. ამ მონასტერში დღემდის ინახება ღირსი მამა შიოს ნაწილები. ამ მონასტერში ყოვლად სამღვდელო გურია სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს საფასით ცხოვრებენ სამი ბერი და სამიოდე მორჩილები. შესანიშნავი ამ მონასტერში ბევრი რამ არის, ამ მონასტერში სამიოდე საუკუნის წინ, როგორც მოწმობს ისტორია, შვიდასი ბერები ცხოვრებდა, დღეს კი მარტო ექვსი კაცია.

კეთილის მსურველი

*** ქ. ზუგდიდი. სამწუხარო ამბავი. კარგა ხანია, რაც ზუგდიდში პირველი მაისობა იციან, რომელიც ყოველთვის აკმაყოფილებდა საზოგადოებას. წრეულს იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ ქალაქში ვერ ეტეოდა. ჯარიანობის გარდა დოღიც იყო გამართული (მარულა) მომზადებული არავინ იყო და ისე უთავბოლოდ აჭენებდნენ ცხენებს. ცხენოსნები მართალია იძახოდნენ: „ხაბარდაო“, მაგრამ გზა და გზა გაჭენებულ
ცხენებს ვერავინ მოასწრო გაძღვ
მა და ერთი პატრონსანი და სათ
აცი, [illegible] ვაჟ
მარკოზ მიმინოშვილი ცხენ
ქვეშ მოყვა და იქვე განუტევა ს
ლი. ოცი წამის შემდეგ ცხენი
კიდევ ვიღაცა გლეხს და ძრი
დააშავა. ცუდი დღე დაადგა მ
დარსაც, იგი ცხენიდან გადავარ
და უსულოდ დაეცა მიწაზე. დღ
მესამე დღეა და კიდევ უნუგ
მდგომარეობაშია და ზემოხსე
ბულის გლეხის მორჩენა ძნელ

ის არ ვიცი ვინ იყო დო
მოთავე, ხოლო ეს კი ნამდ
ლია, რომ მეტად უწესრიგ
დაყენებული ეს საქმე და ხალხ
არ იყო გაფრთხილებული.
თუ ისე უწესრიგობამ და უყურ
ღებობამ იმსხვერპლა სამი კაცი

ციცინათელ

*** დ. სამტრედია. სამთ
ლის მსხვერპლი. ხაშურის რკი
გზის სადგურის „ბუფეტის“ მ
რეული გურული ლუკა გოგიშ
ლი, ახალგაზრდა, ასე 28 წ
კაცი, რომელიც დასიძებული ი
სამტრედიაში ერთ ვინმე სტურ
ქალზე, ოჯახობა ჰყავდა სამტ
დიაშივე თავის სახლში დატო
ლი, და თვითონ ჯამაგირში ი
ზემოხსენებულ ხაშურში.

სამი დღის წინათ მოსულა შ
რადგან ერთ ვინმე მის ნაცნ
დაუპატიჟებია ქორწილში ს
ლაჩხუთში. მთელი ის ღამე
გორც გოგიშვილს ისე მრა
მის ამხანაგებს ლხინს და ქეი
გაუტარებიათ ქორწილზე; მე
დღეს დილას მასპინძლიდან
მოსულმა ერთ მის ამხანაგთან
იფა სამტრედიის დუქნებში
ლის 11 საათამდე, თერთმეტ
ათზე მივიდა სახლში სრულის
სიერებით, თუმცა შექეიფიან
ლმა დაიცა რევოლვერის ტ
საფეთქელში და მაშინათვე ს
დალია.

ლ. გუბ

## სახალხო ჰიგიენ

საუბარი ჯანმრთელობის შესახ

(რუსულიდან)

სხეულის სისუფთავეზე

VIII. ლოგინი. აგრეთვე ძა
ნაკლებ ყურადღებას აქცევენ
ხები ლოგინის სისუფთავეს,
მელიც ემსახურება კაცს
ტანისამოსათ. მთელ დღეში
იძინებს ლოგინში რვა საათს
დაგან რომ ვიანგარიშოთ, გა
რომ ის ატარებს ლოგინში
მესამედს თავის სიცოცხლ
ლოგინის სისუფთავე მით
საყურადღებოა, რომ ღამე (
ში) ტყავის სუნთქმა ძლიერ

*) კავკასიის არხეოლოგიის მოყვარეთა საზოგადოების წერილები. დ. ბაქრაძისა, 1875 წ., წიგნის, გვ. 19—20.

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 810.

მ ამონასუნთქი ი იელინთებ ა
ის პირი, ჩარსავი და სხვა,
გამოც ხდებიან ღრწყილების
ალინჯოების ბუდე ი და ამას-
უარესი სტუმარი გაჩდება
ს ნაწილები თუ კვირაში ერთ-
მაინც არ გამოვიცვალეთ
ინი. ყველაზე კარგი და ია-
ეიბი მზადდება უბრალო ჰი-
ისაგან და რადგანაც ჰილო-
აგდენ ფასს არა თხოულობს.
ლება მისი ხშირათ გამოცვლა
ვითონ ლეიბის პირი ყოველ
ცვლაზე უნდა გაირეცხოს.
ბის ჰილობი უკანასკნელი წე-
ადში ერთხელ მაინც უნდა
იცვალოს, ხოლო ყმაწვილე-
უფრო ხშირათ. ლეიბი რო-
ზედაც ავადმყოფი წოლილა
თუოდ უნდა დაიწვას. ბა-
მებს აკეთებენ ფრინვე-
ფრთისას ან ლინლისას.
ისგან გაკეთებული ბალიში
ბია ლინლისას მითი, რომ
ისე არ ახურებს, როგორც
ასკნელი. მაგრამ ყველაზე ია-
და ჯანისათვის მარგებელი რბი-
ჰილობია. ბალიშებს უნდა
დეთ მეორე პირი (ზეწარი),
ლის მოხსნა და გარეცხვა შეი-
ბოდეს, თორემ თავის კანის
ასუნთქი ორთქლი ჩეეკვრება
ობში. საბნები უნდა იხმაროთ
რომ იმისი გარეცხვა არ გა-
რდეს.

შ. კ—ძე.

(შემდეგი იქნება)

## სამეურნეო ცნობა

**არეთა მეტყველება (ბოტანიკა)**

(შემდეგი *)

ცხილა (ქართული), რცხემლა
რული, გურული), ცხიმური
რული(, სოხი, ბეხი (სომხუ-
, ვალიას (თათრული), ფატკედ
ური), ჩეუტორ, ტოხას-ხოხო
კური), გრაბ (რუსული), კარ-
უს ბეტულუს (ლათინური). ბევ-
სხვა და სხვა ჯურისაა, გვა-
მს ყველგან ტყეში და მინდვ-
ში, კარგათ იტანს ხმელ ნია-
ს, ამისათვის კარგათ გვარობს
წყავ ადგილებშიაც. მის მასა-
დიდი მოთხოვნილება აქვს
რნეობაში, როგორც შეშა, ისე
ნახშირი განთქმულია, მის
მირს ხმარობენ თაფის წამლის
ხნებში. მის ჰიგოს ხმარობენ,
ხებში, ხოლო მალე ლპება და
ხანს ვერა სძლებს, ამისათვის,
ემის მხრით არ ვურჩევ ჩვენს
მეურნეებს იხმარონ ჰიგოთ, რა
უნდა თუ იშოვება სხვა მაგა-
ხე. ხე ცოცხლობს სამას
მდისინ, მრავლდება თესლით:

შემოდგომით და გაზაფხულობით.

**სოჭი** (ქართული, იმერული, გურული), ჩიხრი (რაჭული), ნენზე (სვანური), ეგევინ (სომხური), სოჩი (ოსური), ამზა, აპსა (აფხაზური), კავკაზსკაია პიხტა (რუსული), აბიეს ნორდმანიანა (ლათინური). ეს მცენარე გვარობს ყველგან, ამ მცენარით დიდი ტყეები შესდგება: ჩერნომორის ოლქში, აფხაზეთში და ქუთაისის მაზრაში; გარდა ამისა ამ მცენარით შემკულია აჭარის და იმერეთის მთები, ქობლიანის ხეობიდან (ახალციხის მაზრაშია) დაწყობილი მიმდინარეობს თითქმის გორის მაზრამდისინ, უყვარს ნოტიო ნიადაგი, ეს მცენარე მითი არის შესანიშნავი, რომ ზამთარ-ზაფხულს მწვანეთ არის შემკული, ამისათვის როგორც შნოიანი და თვალ-საჩინო ხე, მას ხშირად რგავენ ეზოებში და ყვავილნარებში. ცოცხლობს ხუთას წლამდისინ, მრავლდება თესლით გაზაფხულობით და შემოდგომობით.

**ფიჭვი** (ქართული, იმერული, გურული, მეგრული), ტეგოშ, პიჩი (სომხური) მამ, (თათრული) პიჰი (ოსური) ამზა (აბხაზური) კან, აჩიტ, ნიკეშსხოხო, აჩირპი (ლეკური) სოსნა (რუსული) პინუს სილვესტრის (ლათინური) ბევრი სხვა-და-სხვა ჯურისაა გვარობს ყველგან მთებში ხრიაკ ადგილებში. ამ მცენარიდან შესგება დიდრონი ტყეები ჩრდილოეთ კავკასიაში, გარდა ამისა აფხაზეთში, სვანეთში, რაჭაში, ბორჯომის აწყურის ხეობებში (ახალციხის მაზრაშია) და აბასთუმანის ხეობაში.

მცენარე ზამთარ ზაფხულ შემკულია მწვანე ფოთლებით, მის მასალას მეურნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილება, მაგალითად ხმარობენ გემებზე და სხვა-და-სხვა შენობების ასაგებათ. ზოგიერთ ქვეყნებში ხმარობენ შეშათ, მაგრამ როგორც მის შეშას ისე ნახშირს არა აქვს ბარაქა, ესე იგი შეშა ისე დაიწვის, რომ სრულებით ნაცრად იქცევა ხოლმე, ისეც ნახშირი, ერთ შვათანა სამოვარის ასადუღებლად უნდება გირვანქამდის ნახშირი, რადგანაც ამ მცენარეს ყველა ნაწილი შესდგება ფისით (СМОЛА) ამისათვის მის კვარს ოჯახებში (მდაბიო ხალხი) ხმარობენ სანთლის და ლამფის მაგიერ, კვარს დასჭრიან წვრილად სანთლის სიგრძეთ დი ისე მოუკიდებენ სპიჩკას, რომელიც დიდხნობამდისინ იწვის სანთელივით, ამისათვის თათრულად ეწოდება სახელად შამ (სანთელი) როგორც შნოიანი და თვალ საჩინო ხე, მას რგავენ ყვავილნარებში და ეზოებში. მრავლდება: თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 801.

## ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდან (1629 წლიდგან)*).

**ტფილისის სტამბები და წიგნების ბეჭდვა XIX საუკუნეში.**

237, ნინო ორბელიანის ლექსები, 1885 წ. მეორე გამ. 1897 წ.

238, სიბრძნე სიცრუე, საბა ორბელიანისა, 1871 წ.

239, ოქროს თევზი, გადმოკეთებული 1881 წ.

240, ჰონი ნიკოლას სიმღერა, დ. რომანისშვილისა, 1884 წ.

241, ვეფხის ტყაოსანი, გამოც. 1867, მეორე გამ, 1870, მესამედ 1887 წ.

242, ანუკა ბატონიშვილი, ისტ-მოთხრობა გრ. რჩეულოვისა 1878 მეორე გამ. 1893 წ.

243‘ ქვრივის ლიმონები, მისივე გამ. 1880 წ.

244, იაზონ თუმანოვის ქება, 1883 წ.

245, სარიდიონიანი, პოემა 1879 წ.

246, სასიმღერო ლექსები, 1869 წ.

247. სასიხარულო ამბავი, 1879 წელს.

248, საქორწინო ტანთ საცმელი, 1869 წ.

246, სახალხო ლექსები, ამირანი და სხვანი 1878 წ.

247, სახალხო მეჯლიში გ. სვინდისოვისა 1878 წ.

248, სალხინო საზანდარი მისივე 1873 წ. II გამო. 1891 წ.

249, კალიების და კაცთ კალიების ვითარება და კინტო საქულას სიმღერა 1880 წ.

250, ახალი ამბავი, ალ. სტეფანეშვილისა 1878 წ.

251, გამარჯვება ყარსის აღებაზე, 1877 წ.

251 პეპო, კომედია 1880 წ.

252, კაპიშონი, კომ. ტ. ასტავაცათურიანისა 1880 წ.

253, არსენას ლექსი პირველი

252 თელაველი მწყერაძე, 1880 წ. გამოცემა 1872 წ.

254, ქართული ანდაზები, პ. უმიკაშვილის შეკრებული 1876 წ.

255 ლექსნი, სოფ. ფავლენოვისა 1883 წ.

256, ავაზაკნი, ტრაგედია 5 მოქ. ან ფურცელაძისა 1880 წ.

ბაგრატიონების დიდება, მისივე, 1881 წ.

257, დიდ-მოურავიანი, მისივე 1884 წ.

258, ვაი მართალთა, მოთხ. მისივე 1881 წ.

259, შოთა რუსთაველი და მისი ცოლი, მისავე 1886 წ.

260, თამარ ლაზნელი პოემა, მისივე 1884 წ.

261, მაცი ხვიტია, რომანი მისივე 1885 წ. მეორე გამ. 1891 წ.

262, ქართველი ქალების თარგმანნი, 1872 წ.

263, ქართველ ქალების მოთხრობანი, 1882 წ.

264, ახალი ლექსები, ღვინიევისა 1883 წ.

265, მოხევეთა სახალხო ლექსები, მოხევისა 1886 წ.

266, განკიცხული, მოთხრობა მისივე 1884 წ.

268, მოძღვარი, მოთხრობა, მისივე 1885 წ.

269, მოთხრობანი, მისივე 1885 წ.

270, ელისო, მოთ. მისივე 1885 წ.

271, ციკო, მოთხრობა მისივე, 1883 წ.

272. არსენა, დრამა, მისივე 1885 წ.

273, დილა ქორწილის შემდეგ, ვოდევილი, მისივე 1885 წ.

274, ნინო ყარანგოზოვის ლექსები, 1880 წ.

275, ყარამანიანი, 12 კარი, 1874 წ.

276, გრიბული, ჟორჟ ზანდისა, თარგ. ფრანგულით 1865 წ.

277, ჩვენი ბარიშნები ნ. ყიფშიძისა 1881 წ.

278, ლექსები, მერაბ ყორღანაშვილისა 1875 წ,

1875, ლექსები, მერაბ ყორღანაშვილისა 1879 წ.

279, სრული ლექსები მისივე 1881 წ.

280, მეფე ლირი, შექსპირისა თარგ. ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბლისა 1879 წ,

281, შვიდ-ვეზირიანი, თარგმანი მ. ახპატელოვისა 1881 წ.

282, ბაქიების ხროვა, სცენა. შავნუარულისა 1866 წ.

283, თამარ მეფის და მეუღლის მის დავით მეფის ქება თქმული შავთელისაგან 1883 წ.

284, შემოხიზნული გლეხი, ველისციხური მოკითხვა, 1884 წ.

285, თამარ მეფის ქება და დიდება ჩახრუხაძისა 1882 წ.

286, სამი კომედია, ავ. ცაგარლისა 1884 წ.

287, მათიკო, კომედია მისივე, 1882 წ.

288, ციცინათელა, ლექსთა კრება, გამოცემული 1885 წ.

289, გოგია მეჩანგურე, აკაკისა 1877 წ.

290, თორნიკე ერისთავი, პოემა, მისივე 1884 წ.

291, თამარ ცბიერი, ისტორიული პოემა, მისივე გამოც. 1886 წ.

292 საახალწლო ხუმრობა, აკაკისა 1874 წ.

293, სამგვარი სიყვარული, აკაკისა, 1884 წ.

*) იხ. «ცნ. ფურ.» № 811.

294, ბუტიაობა, ვოდევილი, აკაკისა 1879 წ.

295, არანკა, პოემა გ. წერეთლისა 1876 წ.

296, ლომკაცი, პოემა გ. წერეთლისა 1885 წ.

297, მოქალაქე დაბალ ლალოს საუბარი, სომხურით, 1880 წ.

298, ლექსები ალ. ჭავჭავაძისა, გამოც. პ. უმიკაშვილისა 1881 წ.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

3 მაისი.

**ხარკოვი.** წერა-კითხვის საზოგადოებამ დარდასწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს სახალხო სახლის აშენებას, რისთვისაც გამოანგარიშებულია 130,000 მანეთი.

**სოფია.** იმისდა მიუხედავად, რომ დრაგომან ცანკოვის სიკვდილის შესახებ გავრცელებული ხმები უარ-ყოფილ იქმნა, რუსეთის გაზეთები მაინც ლაპარაკობენ იმის სიკვდილზედ. „ბოლგარიის სააგენტო" აცხადებს, რომ ცანკოვის სიკვდილის შესახებ ხმები სიმართლეს მოკლებულიაო.

4 მაისი

**პეტერბურგი.** საიმპერატორო სამეცნიერო აკადემია სთხოვს ყველა იმათ, ვისაც კი სურს პუშკინის ძეგლის აგებას დაეხმაროს, რომ თავისი შემოწირულებანი გაჰგზავნოს აკადემიის ეკზეკუტორისა და ხაზინადრის სახელობაზე: პეტერბურგი, ვასილევსკის კუნძული, სახლი სამეცნიერო აკადემიისა.

**ტიუმენი** ტობოლსკში დაიწვა ქალაქის ერთი ნაწილი, რომელსაც „Абрамовская стрѣлка" ერქვა. გადაიწვა ეგრეთვე რამდენიმე ნავი. ზარალი ერთ მილიონამდეა.

**პარიზი.** „Univers" იუწყება, ჩინეთის იმპერატორი მთელს იმპერიაში კათოლიკეთა სარწმუნოების გავრცელებას მხარს უჭერს, რისთვისაც ყველა მისიონერებს უმოწყალესად ოფიციალურ მდგომარეობას ანიჭებსო.

**პარიზი.** გარდაიცვალა ფრანცისკ **სერსე.**

**პარიზი.** თუმცა დელომბრი დიდი წინააღმდეგი იყო, მაგრამ სენატმა—196 ხმის უმეტესობით 55—წინააღმდეგ— მაინც მიიღო ის წინადადება, რომელიც თხოულობდა მუშათა უბედურ შემთხვევათა შესახების წესდების მიუღებლობას. ეს წესდება უნდა დაკანონებულიყო ივნისის 1. ამავე წესდების წინაამღდეგი მრავალი ფაბრიკანტიც იყო.

**ჰააგა.** კარდინალის რამპოლლას მიწერილობისამებრ პაპის აქაურმა ინტერნუნციმ (აგენტი) თავისს თანამდებობას თავი დაანება და ლიუკსენბურგში წავიდა.


# განცხადებანი

## ვ. გუნიას სტამბა

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



## ქეფირი და კუმისი




ერთად ერთა ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ო. კურონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადეობის წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—17) ო. კურონა.

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой** [и про]**мышленности,**

2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),

3) **Ариѳметики на счетахъ.**

4) **Коммерческой экономіи,**

5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебн[ыхъ] заведеніи**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-[хъ] часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣся[ца].

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальст[ва].**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳ[ме]тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счет[ахъ], 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) [тор]говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (52[0] [за]дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ [и у] автора: Михайловская ул., № 71.** (100—16)

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ
## НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ
## для самообразованія

# МІРЪ БОЖІЙ

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

[Въ] 1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и [въ] томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія пр[ед]полагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. [...]ицкой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артур[а]» (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), ра[зск.] Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горь[ка]го; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разск[азы] г.г. Бунина, Потапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» про[ф.] Бранта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», В. Битнера; «[Ча]льзъ Парнель», Ев. Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», [ч.] III. П. Милюкова. «Александръ I и его время», А. Прѣснякова: «А. С. П[уш]кинъ (юбилейная статья) Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иван[ова]; «Ада Негри», В. Фриче. «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживи[цка]го; «Положеніе труда въ Англіи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріу[съ и] эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной фи[лосо]фіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (Джонъ [Рёс]кинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, [тех]ники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайн[ыхъ] обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ запад[ной] литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Те[ку]щія научныя новости. Библіографія. Новости иностранной [ли]тературы.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на годъ 8 руб.
Безъ доставки на годъ . . . . . . 7 »
За границу на годъ . . . . . . 10 »
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

**По полугодіямъ;**

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р.
За границу . . . 5 р.
Безъ доставки по соглашенію конторой

**по третямъ года:**

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи;
въ январѣ . . .
» маѣ . . .
» сентябрѣ . . .
За границу: въ январѣ .
» » » маѣ .
» » » сентябрѣ .

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку [безъ] повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова.* Редакторъ *В. П. Острогорск[ій].*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Мая 1899 г. სტ. „ცნ. ფურც." გ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი მ. შ[...]